უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №26

თბილისი 20.12.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბოჭორიშვილი - შპს „საქართველოს უნივერსიტეტის"სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
აკაკი ხელაძე - შპს ''საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი;
ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის" დეკანი, პროფესორი;
ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;
ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თინათინი დვალიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
გაგა გვენეტაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი:

ანზორ შარაშენიძე - რექტორი;
დავით გუბელაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თემურ წურწუმია - იურიდიული სამსახურის უფროსი;
გულნარა იმედაშვილი - უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანი;
მარინა კობახიძე - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
აიდა ქიტაშვილი - ბიზნესის ადმინსიტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო სებისკვერაზე - სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მენეჯერი;
თინა ბარისაშვილი - ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის მენეჯერი;
შმაგი კურტანიძე - სტუდენტური თვითმმართველობის წევრი;
ირაკლი გულიშვილი - სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვიცე პრეზიდენტი.

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია:

ირინე შოთაძე - რექტორი;
ნინო შიუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
შალვა ახრახაძე - მრჩეველი ფინანსური მიმართულებით.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ ველიჯანაშვილი - მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი;

ნანა გვენეტაძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
თამარ ოქროპირიძე - სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
იოსებ ბოლოკაძე - ბიბლიოთეკის დირექტორი;
მერაბ მერაბიშვილი - სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
კლიმენტი ადამია - უნივერსიტეტის შიდა აუდიტი;
თამაზ ხვიჩია - რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში;
თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
დავით აფხაზავა - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
ნინო ჭიჭივეიშვილი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნანა დიხამინჯია;
დავით სიხარულიძე;
ნინო ტალიაშვილი;
ნინო ღაღანიძე;
ნინო ჩიხლაძე;
დავით მაკასარაშვილი;
ლევან ცაგარელი (ჩაერთო სკაიპის მეშვეობით);
ხათუნა საგანელიძე.

სხვა დამსწრე პირები:
ანა წამალაშვილი - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა საბჭოს აღნიშნული შემადგენლობისთვის იყო ბოლო და შესაბამისად, საბჭოს თითოეულ წევრს გადაუხადა მადლობა პროდუქტიული მუშაობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა დააყენა ცენტრის თანამშრომელმა თინათინ დვალიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრში 2019 წლის 16 დეკემბერს შემოვიდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის წერილი, რომლის თანახმადაც, 2019 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე შპს კავკასიის უნივერსიტეტმა (ს/კ 205050567) მიიერთა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი (ს/კ 405014979). შესაბამისად, წარმოდგენილი წერილილით დაწესებულება შუამდგომლობდა, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის საკითხი განხილულიყო 2019 წლის 20 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ იყო წინააღმდეგი დღის წესრიგს დამატებოდა აღნიშნული საკითხი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შეცვლილი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე პირებს შეახსენა, რომ ავტორიზაციის საბჭომ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე იმსჯელა 2019 წლის 19 აპრილის სხდომაზე. აღნიშნულ სხდომაზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით არსებობდა ხარვეზები. შესაბამისად, საბჭომ დაწესებულებას ხარვეზების გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა. შესაბამისად, 2019 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე ხელახლა იხილებოდა დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს წინაშე წარადგინა შემდეგი რეკომენდაციები:

სტანდარტი 1:

- საუნივერსიტეტო საზოგადოება უნდა ჩაერთოს უნივერსიტეტის მისიის შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის პროფილს და მის მახასიათებლებს;
- უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს კომუნიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, დაეხმაროს მისიის სრულად გააზრებაში.
- უნდა დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს თდასუ-ს მიზნები დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე;
- რეკომენდირებულია თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია;
- რეკომენდირებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისაღწევი შედეგების ვადები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

სტანდარტი 2:

- უნდა გაიმიჯნოს რექტორის და აკადემიური საბჭოს ფუნქციები;
- აკადემიური საბჭო უნდა გახდეს ქმედითი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო;

• აკადემიური საბჭოს წევრებისთვის უნდა მოხდეს შესაბამის პროცედურულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა;
• უნდა გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და გახდეს ქმედითი;
• უნდა გაიმიჯნოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქციები, კერძოდ, ბიბლიოთეკის მენეჯერის მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის შეთავსების კუთხით;
• ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა უნდა გახდეს ეფექტიანი.
• რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ზუსტი, სწორი და სრულყოფილი მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია.
• თდასუ-მ უნდა შეიმუშავოს ეთიკის სტანდარტის დაცვის მოქმედი მექანიზმები;
• უნდა მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ.

სტანდარტი 3:
• რეკომენდირებულია გაძლიერდეს, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
• რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამებში მოხდეს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმის გაუმჯობესება სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტანდარტი 4:
• უნდა შემუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
• უნდა შემუშავდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი;
• უნდა შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების (კონკურსის დროს) გამჭვირვალე კრიტერიუმები;
• უნდა შემუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე კრიტერიუმები;
• უნდა შემუშავდეს პერსონალის წახალისების მექანიზმი;
• უნდა შემუშავდეს ახალი თანამშრომლის სამუშაო პროცესში ინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმი;
• შრომის ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;
• უნდა დადგინდეს განსხვავება აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის;
• უნდა შემუშავდეს სასწავლო უნივერსიტეტის საჭიროებებზე მორგებული პერსონალის მართვის პოლიტიკა.
• უნდა შემუშავდეს ეფექტიანი მექანიზმი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სხვა უსდ-ებში დატვირთვის მონიტორინგის შესახებ.

სტანდარტი 5:
• რეკომენდირებულია სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მიერ შეთავაზებული ვაკანსიები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს სტუდენტთა კვალიფიკაციას;
• კვლავ რეკომენდირებულია დაწესებულებამ აამოქმედოს გაცვილითი პროგრამები და უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა.

სტანდარტი 6:

- უნდა გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა კონკრეტულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით;
- თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები უნდა გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში;
- უსდ-მ უნდა შეიმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმები და გააცნოს აკადემიურ პერსონალს;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა უნდა შეიცვალოს ისე, რომ ითვალისწინებდეს კვლევების რაოდენობრივ და ხარისხობრივი შეფასების ინდიკატორება;
- აკადემიურ პერსონალს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შესახებ.

სტანდარტი 7:

- რუსთავის გზატკეცილზე განთავსებული შენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მატერიალური რესურსის სტანდარტთან: შენობაში უნდა მოეწყოს სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი, მოწესრიგდეს სართულიდან სართულზე გადაადგილების საკითხი, ვინაიდან პანდუსის დახრილობის გამო ჩამოსვლის დროს შესაძლებელია პირს მიადგეს ზიანი, სათანადოდ აღიჭურვოს ადმინისტრაციული ერთეულები, მოეწყოს სამედიცინო კაბინეტი, სტუდენტური სივრცეები ჯგუფური მუშაობისთვის, საპროფესორო, აუდიტორიები/ლაბორატორიები აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით. არქივისთვის გამოიყოს ფართი;
- სულხან ცინცაძეზე განთავსებულ შენობაში უნდა განხორციელდეს კაბინეტების/ლაბორატორიების კონდიცირება/ვენტილაცია;
- უნდა მოეწყოს სტუდენტური სივრცეები, საკონფერენციო დარბაზი;
- უზრუნველყავით ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ;
- რეკომენდირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის აქტივობების შესაბამისად გაიწეროს დაგეგმილი ფინანსების დინამიკა წლების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა დიხამინჯიამ წარმოადგინა ავტორიზაციის პირველი სტანდარტის შეჯამება. ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტის მისია მეტნაკლებად ჩამოყალიბებული იყო, თუმცა არ იყო გააზრებული კარგად ადმინისტრაციის, აკადემიური საბჭოსა და ზოგადად პერსონალის მიერ. აღნიშნული რეკომენდაცია, ექსპერტის განმარტებით, წინა მონიტორინგის წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა დასკვნაშიც იყო აღნიშნული და ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული ისევ რჩებოდა ხარვეზად.

რაც შეეხებოდა 1.2 სტანდარტს, დაწესებულებას გააჩნდა 7 წლიანი სტრატეგიული და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები. აღნიშნული გეგმები ფორმულირებული იყო ზოგადად. კერძოდ, შესრულების ინდიკატორიები ფორმულირებული იყო ზოგადი სახით. კერძოდ, არ იყო განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადები. მაგალითად, აღნიშნულ გეგმებში

მითითებული იყო ჩანაწერი „მიმდინარე წელს“, კონკრეტული ვადები კი განსაზღვრული არ იყო. სამოქმედო გეგმა კი შედარებით კონკრეტული იყო. რაც შეეხებოდა აქტივობების შესრულების პასუხისმგებლობას, მეტნაკლებად იყო გადანაწილებული, თუმცა არ იყო განსაზღვრული როგორ გაიზომებოდა აქტივობების შესრულება.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა 1.2. სტანდარტით. მისი განმარტებით, დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებში აღნიშნული იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდის დაგეგმვა და ანალიზი. შედეგად კი აღნიშნული იყო, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაზრდილიყო სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობით. პირველ რიგში, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უკვე გაზრდილი იყო, რატომ იყო ეს აღნიშული მიზნებში. მეორე მხრივ კი, სამოქმედო გეგმაში ეწერა, რომ სარემონტო სამუშაოები და გათბობის სისტემა არ იყო დასრულებული ანუ რეალურად, შენობა არ იყო შესული ექსპლუატაციაში. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულებას აღნიშნულის განმარტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით გუბელაძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმა აღწერდა დაწესებულებაში არსებულ მთლიან სურათს. თვითონ დაწესებულების შენობა იყო 6 სართულიანი, სადაც 2 სართული იყო განკუთვნილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. დანარჩენ სივრცეში კი მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებლებულების ის სართულები, სადაც ამ პერიოდში ახორციელებოდა სასწავლო პროცესი იყო ექსპლუატაციაში შესული და აღნიშნულ სივრცეში დაწესებულებას გავლილი ჰქონდა ავტორიზაცია. მისი განმარტებით, მათ გამოაგზავნეს შესაბამისი სურათები და დაწესებულების ვებ გვერდზეც აღნიშნული იყო თუ რა მდგომარეობაში იყო შენობა. გათბობასთან დაკავშირებით, წინა წარმოების ფარგლებში, მათ აღნიშნული ჰქონდათ, რომ ეს პროცესი უნდა დასრულებულიყო. ექსპერტთა ვიზიტის პროცესში კი მიმდინარეობდა გათბობის სისტემის მონტაჟი, ზოგიერთი სართულზე დამონტაჟება უკვე დასრულებული იყო და ზოგ შემთხვევაში კი პროცესი ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, აღნიშნული სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2019 წელს. ასევე, აქვე აღნიშნული იყო, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის მიხედვით, 800 000 ლარი იყო საჭირო გათბობის დასამონტაჟებლად, თუმცა ამისთვის ბიუჯეტში მხოლოდ 80 000 ლარი იყო გამოყოფილი. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით არსებობდა ტექნიკური ხარვეზი. გათბობის სისტემის მონტაჟისთვის სულ 180 000 ლარი იყო განკუთვნილი აღნიშნული აქტივობისთვის და რეალურად 80 000 ლარი იყო საჭირო, ხოლო 100 000 ლარი დაწესებულებას ჰქონდა რეზერვში.

ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, რუსთავის გზატკელზე მდებარე შენობაში არ იყო სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მდგომარეობა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, ვიზიტისას მათ დახვდათ რამდენიმე ოთახი მზად, თუმცა იყო გაურკვეველი ვითარება, ეს ოთახები იყო გაქირავებული და გაუგებარი იყო თუ რა პროცესი მიმდინარეობდა. ვიზიტისას, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების წარმრმადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ჯერ სტუდენტების მიღებას აღნიშნულ მისამართზე არ აპირებდნენ.

საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, 1.2 კომპონენტში, კერძოდ, სტრატეგიაში იკითხებოდა, რომ ზემოაღნიშნული პროცესი უნდა ყოფილიყო დასრულებული. გარდა ამისა არსებობდა უზუსტობები ფინანსური ხასიათის დოკუმენტებში თანხების რაოდენობასთან მიმართებით, რაც მისთვის იყო მიუღებელი. შესაბამისად, ჩნდებოდა კითხვები ექსპერტებთან, კერძოდ, უნივერსიტეტს რეალურად ეს პროცესი დასრულებული ჰქონდა თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, გათბობისა და გარკვეული სარემონტო სამუშაოების საბოლოო დასრულება იგეგმებოდა, ხოლო ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობის ფოტოები უკვე გადმოგზავნილი იყო ცენტრში. მისი განმარტებით, აღნიშნულ კორპუსში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ადრეც და კორპუსი იყო ავტორიზებული სასწავლო პროცესისთვის, თუმცა საჭირო იყო გარკვეული სამუშაოების დამატებით ჩატარება.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა ექსპერტთა ვიზიტის დროს იყო თუ არა სარემონტო სამუშაოები დასრულებული, რადგან ექსპერტები აფასებდნენ მხოლოდ ვიზიტის დროს არსებულ მდგომარეობას.

ჯგუფის თავმჯდომარის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, სარემონტო სამუშაოები დასრულებული არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, სარემონტო სამუშაოები, რომლებიც შეეხებოდა ჰოლს, დეკანატს, ბიბლიოთეკას იყო დასრულებული. გათბობის დამონტაჟება, რომელიც დაწესებულებას ევალებოდა, ერთ სართულზე იყო დასრულებული, ხოლო მეორე სართულზე არა. მისი განმარტებით, დაწესებულებას გააზრებული ჰქონდა, რომ ეს სამუშაოები 2019 წლის აგვისტოს თვეში უნდა დაესრულებინა, თუმცა გაუთვალისწინებელ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და სამუშაოები ვერ დასრულდა დათქმულ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ წინა მონიტორინგის ფარგლებში, როდესაც დაწესებულებას ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვრა 60 დღიანი ვადა, მაშინაც საუბარი იყო აღნიშნული მიმართულებით. კერძოდ, დაწესებულება დაპირდა საბჭოს, რომ ხარვეზებს მოაგვარებდა,მათ შორის შენობასთან დაკავშირებულ ხარვეზებსაც, დღეს კი საბჭოს წევრებს იგივე სურათი დახვდათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა დაწესებულება მზად, შესაბამისი მატერიალური რესურსით უზრუნველყო სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც დაწესებულებას ჰქონდა განსზღვრული ავტორიზაცის საბჭოს მიერ. მარიამ დარბაიძე ასევე დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, თუ არ იყო დამონტაჟებული შენობაში გათბობა. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, დაწესებულებას ამჟამად ჰყავდა 300 სტუდენტი და სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ საბურთალოს მისამართზე არსებულ შენობაში, სადაც პროგრამის განხორციელებისათვის არსებული ყველა პირობა არსებობდა.

ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, მათ ვიზიტის დროს სრულყოფილად დაათვალიერეს ორივე კორპუსი. რაც შეეხებოდა ცინცაძის მისამართზე (ყოფილი საბურთალოს ქუჩა) არსებულ კორპუსს, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ 2

სართულზე, რაც მათი განმარტებით, არ იყო საკმარისი თუნდაც 300 სტუდენტისთვის რომ სათანადო დონეზე გაეწიათ მომსახურება. ექსპერტის განმარტებით, არ იყო გამოყოფილი სივრცეები სტუდენტებისთვის, არ იყო საკმარისი სივრცე ბიბლიოთეკაში, არც სარეკრეაციო სივრცე არსებობდა, ასევე, არ არსებობდა საკონფერენციო დარბაზი. აღნიშნულ ხარვეზებზე, დაწესებულების პოზიცია იყო, რომ მათ ჰქონდათ დიდი კორპუსი ფონიჭალაში, რუსთავის გზატკეცილზე, რომელშიც მოწყობილი იქნებოდა ეს სივრცეები. თუმცა, ვიზიტის დროს, მათ ნახეს, რომ რუსთავის გზატკეცილზე მდებარე კორპუსი არ იყო მზად სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელებისთვის.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაში ნახსენები იყო სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურის სრულყოფა, ხოლო შესრულების ინდიკატორში მითითებული იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდის პროგრამა. საბჭოს წევრი დაინტერესდა რომელ პროგრამაზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, საუბარი იყო გეგმაზე, თუ როგორ უნდა შესრულებულიყო მითითებული. საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სქემაში აღნიშნული კორპუსის დასრულება 2020 წლამდე არ იყო გამიზნული, ხოლო თავად მიზნებში ნახსენები იყო როგორც დასრულებული. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, შენობა დასრულებული იყო ფიზიკურად და დაწესებულება 2020 წელს არ დაელოდებოდა. გარდა ამისა, მისი განმარტებით, ბიბლიოთეკასთან და საკონფერენციო დარბაზთან დაკავშირებით შენიშვნები წინა ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა. საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებული ხარვეზები, მათ შორის ბიბლიოთეკასთან და საკონფერენციო დარბაზთან დაკავშირებით, ფიქსირდებოდა წინა მონიტორინგის წარმოების ფარგლებშიც.

საბჭოს წევრის დალი კანდელაკის განმარტებით, ექსპერტთა წინა ჯგუფმა და ამჟამინდელმაც დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, გაეძლიერებინა კომუნიკაცია პერსონალთან სტრატეგიული გეგმის გაზიარების თვალსაზრისით. საბჭოს წევრის განმარტებით, მისთვის გაუგებარი იყო, რატომ არ შესრულდა აღნიშნული რეკომენდაცია, როდესაც აღნიშნულის შესრულებას არანაირი დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდებოდა. ექსპერტ ნანა დიხამინჯიას განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფს, ინტერვიუების საფუძველზე, როგორც რექტორთან, ასევე პერსონალთან, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დარჩა. გარდა ამისა, ექსპერტის განმარტებით, პერსონალის ნაწილი აღნიშნავდა, რომ მათ ახლახან დაიწყეს მუშაობა დაწესებულებაში და ჯერ კიდევ გაცნობის პროცესში იყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ აიყვანა დაწესებულებამ ახალი პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, ადმინისტრაციაში მათ აიყვანეს ახალი პერსონალი. ასევე, მისი განმარტებით, არსებობდა რექტორის ბრძანება, რომელიც აღნიშნავდა, რომ პერსონალისთვის სავალდებული იყო მისიისა და სტრატეგიული გეგმის გაცნობა. ასევე, მისი განმარტებით, დოკუმენტაცია განთავსებული იყო დაწესებულების ვებ გვერდზე.

საბჭოს წევრი რამაზ საყვარელიძე დაინტერესდა, თუ განხორციელდა აღნიშნული ბრძანების შესრულების მონიტორინგი. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა ყოველდღიურად უწევდა დაწესებულებას და მას ეეჭვებოდა, ისეთი პერსონალი ჰყოლოდათ, ვისაც აღნიშნული არ ეცოდინებოდა.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა 1.2. კომპონენტით. კერძოდ, მე-5 პუნქტით, სადაც საუბარი იყო ინტერნაციონალიზაციიის სტრატეგიაზე და საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რომლის მეორე ნაწილში გამოყოფილი იყო საერთაშორისო კვლევით პროექტებში პერსონალის მონაწილეობა და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება. აღნიშნული აქტივობისთვის გამოყოფილი იყო ბიუჯეტი, საიდანაც არ იყო არც ერთი თეთრი დახარჯული. საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა, როგორ მიაღწევდა დაწესებულება დასახულ მიზანს, თუ აღნიშნულ თანხას არ აითვისებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის, დავით გუბელაძის განმარტებით, დოკუმენტში აღნიშნული იყო აგვისტოს მონაცემები. აგვისტოს შემდეგ მოხდა გარკვეული თანხების ხარჯვა და აღნიშნულზე არსებობდა შესაბამისი დოკუმენტაციაც. კონფერენციები ტარდებოდა, ჟურნალებშიც ხდებოდა გამოქვეყნება. აქვე, ექსპერტმა ნანა დიხამინჯიამ განმარტა, რომ მასაც სურდა აღნიშნულზე კომენტარის გაკეთება მეექვსე სტანდარტთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა დამსწრეებს გადასულიყვნენ მეორე სტანდარტის განხილვაზე, რომელიც წინა მონიტორინგის პირობებში შეფასებული იყო, როგორც „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოხოვნებთან" და ამჟამინდელ დასკვნაში კი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა ნინო ტალიაშვილმა შეაჯამა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მისი განმარტებით, აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით ფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობები. დაწესებულებას გააჩნდა წესდება, რომლის მიხედვითაც მმართველი ორგანოები იყო რექტორი და აკადემიური საბჭო. აკადემიურ საბჭოს ასევე ჰქონდა სამუშაოს აღწერილობა, რომელიც ცალკე დოკუმენტად იყო მოწოდებული. დაწესებულებაში აკადემიური საბჭო იყო ახლადშექმნილი სტრუქტურული ერთეული. აქამდე, დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამებს ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის დავით გუბელაძის განმარტებით, დაწესებულებაში დარგობრივი კომისიები არსებობდა, რომლებიც იხილავდნენ შესაბამის პროგრამებს. მათი წესდება ძველად ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა. თუმცა, შემდგომ მათ განახორციელეს გარკვეული ცვლილებები დარგობრივ კომისიებთან დაკავშირებით.

ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის გარკვეული ფუნქციების გადაფარვის შემთხვევები. კერძოდ, დებულების დამტკიცება, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება, დაწესებულების მისიის დამტკიცება და ა.შ. განსაზღვრული იყო როგორც აკადემიური საბჭოს ფუნქციებში, ასევე რექტორის ფუნქციებშიც. ასევე, შეუსაბამობები არსებობდა თვითონ წესდებაშიც, სადაც იყო აკადემიური საბჭოს ფუნქციები

ჩამოთვლილი. ასევე, არსებობდა ცალკე დოკუმენტი აკადემიური საბჭოს სამუშაოს აღწერილობის შესახებ, რომელიც შეუსაბამო იყო დაწესებულების სტრუქტურასთან. მაგალითად, სტრუქტურის მიხედვით, არსებობდა პრორექტორი სასწავლო დარგში, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითებში, ფიზიკურად კი აღნიშნული თანამდებობები არ არსებობდა. გარდა ამისა, აკადემიური საბჭოს დებულებაში აღნიშნული იყო სოფელ საქობოს სასწავლო კორპუსი, რომელიც დაწესებულებას საერთოდ არ გააჩნდა. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, რამდენიმე დოკუმენტში იყო მსგავსი პრობლემა, კერძოდ მაგალითად: სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ასევე, წინა ვიზიტის დროსაც არსებობდა მსგავსი შეუსაბამობა, როდესაც რამდენიმე სხვა უნივერსიტეტის დებულებიდან გადმოწერილი იყო დაწესებულების დოკუმენტების სხვადასხვა ნაწილი.

ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, ასევე არ იყო ნათელი თუ როგორ ხდებოდა რექტორის არჩევა. მისი განმარტებით, აკადემიურ საბჭოსთან დაისვა შეკითხვა რექტორის არჩევასთან დაკავშირებით და მათ ვერ მიიღეს ზუსტი პასუხი. ასევე, ვიზიტის დროს დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ აფინანსებდნენ გარკვეული სახელმძღვანელოების ბეჭდვას, თუმცა როგორ ხდებოდა ეს პროცედურა, ვინ იყო უფლებამოსილი პირი ან რატომ აფინანსებდნენ ვერ იქნა დასახელებული და დასაბუთებული. ასევე, ექსპერტის განმარტებით, ბიბლიოთეკის მენეჯერი ითავსებდა, როგორც მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირის, ასევე შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსაც. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის საკითხს, ექსპერტის განმარტებით, არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება. სტუდენტური სერვისების განვითარების საკითხებში სამსახური დაწესებულებაში არსებობდა, რომელსაც დებულებაში ეწერა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობას უზრუნველყოფდა. თუმცა ინტერვიუს დროს, შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებაზე იყო პასუხისმგებელი. ასევე, ვიზიტის დროს ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ვერ პასუხობდა ექსპერტთა შეკითხვებს მაგალითად ბოლო პერიოდში შემოსავლების დინამიკის თაობაზე. ასევე ადამიანურ რესურსების და საქმისწარმოების სამსახურის წარმომადგენლები არ ფლობდნენ ინფორმაციას პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, 2.2 კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებული. კერძოდ, ტარდებოდა გამოკითხები, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების. თუმცა, ექსპერტებმა ვიზიტის დროს, ვერ მიიღეს კონკრეტული პასუხები თუ როგორ ხდებოდა გამოკითხვის შედეგების შემდგომი გამოყენება და ანალიზი. ასევე, არსებობდა გარკვეული ტიპი კითხვარები, რომელთა დახმარებითაც დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ვერ შემოწმდებოდა. ექსპერტის თქმით, თავად გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტიც არ არსებობდა და დაწესებულებამ მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს ინფორმაცია თუ ვინ რა პასუხი დააფიქსირა კითხვარის შევსებისას.

რაც შეეხებოდა 2.3 კომპონენტს, დაწესებულებას ჰქონდა საავტორო უფლებების დაცვისა და პლაგიატის რეგულაციები. ასევე, ეთიკის კოდექსიც. თუმცა, როგორც ინტერვიუების დროს გამოჩნდა, სტუდენტებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული თუ ვის უნდა მიაკითხონ და როგორ

მოხდებოდა მათი პრობლემის გადაჭრა. პლაგიატის შემთხვევაში, ხდებოდა მისი Turnitin - ის პროგრამით აღმოჩენა, რომელიც დანერგვის საწყის ეტაპზე იყო და პროგრამის გამოყენების სწავლება არ იყო დაწყებული. დაწესებულების განცხადებით, ის იცავდა აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, თუმცა ნაკლებად იყო აღნიშნული გაზიარებული სტუდენტებისა და პერსონალის მიერ. შემდგომი რეაგირების მექანიზმები გაწერილი იყო საავტორო უფლებების დაცვის დებულებაში და ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში. პერსონალთან მიმართებით აღნიშნული იყო, რომ მოხდებოდა მუშაობა ამ მიმართულებით, ხოლო სტუდენტის შემთხვევაში ნაშრომი ავტომატურად ნულდებოდა. ამასთან, ნანა დიხამინჯიას განმარტებით, დაწესებულებაში აკადემიური კეთილსინდისირების და ეთიკის ნორმების დაცვის საკითხს კითხვისნიშნის ქვეშ აყენებდა თუნდაც ის გარემოება, რომ დაწესებულების მიერ მოწოდებულ რამდენიმე დოკუმენტში ფიქსირდებოდა სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელწოდებები.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა თუ როგორ მოხდა ექსპერტთა მიერ პლაგიატის იდენტიფიცირება თავად დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში. ექსპერტის განმარტებით, ერთგან იყო შემთხვევა, როცა ნახსენები იყო საქობოს ობიექტი, რომელიც დაწესებულების საკუთრება არ იყო. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, დოკუმენტაციაში ასევე აღმოჩენილი იყო გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აბრევიატურა - გთუნი, ეს იყო ტექსტში ჩარჩენილი აბრევიატურა. აღნიშნული ჩანაწერები არ იყო შესაბამისობაში არც დაწესებულების სტრუქტურასთან, ასევე არც მის სტრატეგიულ თუ სამოქმედო მიზნებთან. ასევე, სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოტანილი იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტიდან, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უსდ გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს SEU&SCIENCE. გარდა ამისა, საქობოში იყო განთავსებული თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კორპუსი.

დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, ის მუშაობდა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ექსპერტების მიერ აღმოჩენილი იყო სამუშაო დოკუმენტი, რომელიც შემთხვევით იქნა გადმოგზავნილი ცენტრისთვის. აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ხელმოწერილი. მისი განმარტებით, შეიქმნა რამდენიმე უნივერსიტეტის კონსორციუმი, მათ შორის იყო გთუნი, რომლებმაც ერთად შეიმუშავეს ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკა.

ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტი იყო ოფიციალური, დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ცენტრის მიერ იქნა გადმოგზავნილი ექსპერტთა ჯგუფთან. შესაბამისად, ეს იყო სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც დაწესებულებამ ოფიციალურად მიაწოდა ცენტრს. ასევე, გთუნისთან დაკავშირებით ინტერვიუების დროსაც დაისვა კითხვები და არ იყო მიღებული შესაბამისი პასუხები. მათ ასევე კითხვები დაუსვეს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერსაც. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ სთხოვა დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს აღნიშნულთან დაკავშირებით ესაუბრა საბჭოს წინაშე.

დაწესებულების ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის მენეჯერის თინა ბარისაშვილის განცხადებით, მან მუშაობა დაიწყო დაწესებულებაში 2019 წლის იანვარში. 8

თებერვალს კი დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი. მისი განმარტებით, მან აქტიურად მიიღო მონაწილეობა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებაში. დებულებაში გაწერილი იყო პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, როგორ უნდა მომხდარიყო ახალი პერსონალის ინტეგრირება და ადაპტაცია. მისი განცხადებით, თავდაპირველად ერთი წელი დაეთმობოდა პერსონალის ადაპტაციასა და განვითარებას დაწესებულებაში. ამ მხრივ შემუშავებული იყო გეგმაც, რაც ითვალისწინებდა ოთხი დარგობრივი ექსპერტის მოწვევასა და პერსონალის გადამზადებას.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა რა მიმართულებით მოხდებოდა აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება და რა რაოდენობის ტრენინგები იქნებოდა ჩატარებული. თინა ბარისაშვილის განმარტებით, ტრენინგების ჩატარება მოხდებოდა სტომატოლოგიის პროგრამის განვითარების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით აღნიშნული ტრენინგები ძირითადად დაკავშირებული იქნებოდა პროგრამების შემუშავებასთან. თინა ბარისაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ასევე ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენციები. მისი განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით პასუხისმგებელი პირი ესწრებოდა საბჭოს სხდომას და მას შეეძლო განევრცო ამ მხრივ მსჯელობა.

სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მენეჯერის ნინო სებისკვერაძის განმარტებით, როდესაც ის მოვიდა დაწესებულებაში სამუშაოდ, მას დახვდა ბევრი ხარვეზი. ის დაინტერესდა თუ ტარდებოდა დაწესებულებაში ტრენინგები, დაგეგმა შეხვედრა ბატონ პაატა პაპავასთან ტრენინგების ორგანიზების მიზნით. შედეგად, დაწესებულებაში ჩატარდა ტრენინგი მენეჯმენტის მიმართულებით, ასევე ტრენინგი „აგრესია და საზოგადოება". ასევე, მისი განმარტებით, დაწესებულებაში აფილირებული პროფესორები უტარებდნენ ტრენინგებს სტუდენტებს ბიზნეს ადმინისტრირებისა და სტომატოლოგიის მიმართულებით. დაწესებულება თანამშრომლობდა რამდენიმე დამსაქმებელთან, რომელთაც სურვილი გამოთქვეს თანამშრომლობის და ამ მიმართულებით კოლაბორაცია კიდევ უფრო ვითარდებოდა. ნინო სებისკვერაძის განმარტებით, ტრენინგები, საჯარო ლექციები სტუდენტებისთვის ხშირად ტარდებოდა დაწესებულებაში, ასევე მათ ჰყავდათ მოწვეული პროფესორები ვენის უნივერსიტეტიდან საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა რა მექანიზმები არსებობდა დაწესებულებაში პერსონალის შენარჩუნების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა ბონუსური წახალისების სისტემა, რა მიზნითაც ფასდებოდა პერსონალის ჩართულობა და აქტიურობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, ბონუსური სისტემისთვის გამოყოფილი იყო 2 500 ლარი. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, აღნიშნული თანხა არ იყო დიდი, თუმცა არსებობდა სხვა წახალისების მექანიზმებიც. მაგალითად, პერსონალის მონოგრაფიების, სამეცნიერო ნაშრომების უფასოდ ბეჭდვა. ხოლო წიგნი, რომლის გამოცემაც დააფინანსა აკადემიურმა საბჭომ, იყო ერთ-ერთი ადმინისტრციული პერსონალის სადოქტორო ნაშრომი, რომელიც იყო კიევის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების დოქტორანტი და შესთავაზეს დაწესებულებაში დამხმარე

სახელმძღვანელოს სახით მისი ნაშრომის გამოქვეყნება. აღნიშნული ნაშრომი იყო რუსულ ენაზე შესრულებული, საერთაშორისო კრიმინალისტიკის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით დოკუმენტებში არსებული მსგავსებების გამო. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტების მიერ ხაზგასმული მსგავსება იყო მცირე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, დოკუმენტებზე მუშაობისას, მათ ნახეს მნიშვნელოვანი მსგავსებები არაერთი დაწესებულების დოკუმენტაციასთან. მაგალითად, სტრატეგიის ნაწილი ემთხვეოდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტრატეგიას. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე საუბარი იყო, რომ უნივერსიტეტი გამოსცემდა ჟურნალს SEU Science. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, აღნიშნული სტრატეგია სრულად შეესაბამებოდა დაწესებულების პროფილს.

საბჭოს წევრის ლევან იმნაიშვილის განმარტებით, არსებობდა ასეთი დოკუმენტი საავტორო უფლებების დაცვის შესახებ. საავტორო უფლებების დაცვა დღევანდელი კანონმდებლობით სახელმწიფოს პრეროგატივა იყო და არა დაწესებულების. საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, დაწესებულების ეს ქმედება მოდიოდა თუ არა წინააღმდეგობაში საავტორო უფლებების დაცვის დოკუმენტთან. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, მათ დოკუმენტებში არაფერი იყო კოპირებული, არამედ გაეცნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების დოკუმენტებს და შესაბამისად იხელმძღვანელეს, რაც აკრძალული ქმედება არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში არსებული გადაფარვებით, რა იყო დაწესებულების პოზიცია ამ მხრივ, როცა არსებული დოკუმენტები არ შეესაბამებოდა დაწესებულების სტრუქტურასა და მიზნებს. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, ის რაც აღნიშნული იყო მარეგულირებელ დოკუმენტში, არ შეესაბამებოდა, როგორც დაწესებულებაში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, ასევე დაწესებულების მართვის პოლიტიკასა და სტრუქტურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტებს დაეწყოთ მესამე სტანდარტთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებების საბჭოსთვის გაცნობა. ექსპერტის დავით სიხარულიძის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა რამდენიმე პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფმა კი დოკუმენტურად შეამოწმა აღნიშნული პროგრამები. ასევე, პროგრამები შემოწმდა წინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისითაც. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდირებულია მოხდეს პროგრამებში სწავლის შედეგების, მიზნების გამოყოფა და გადახედვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამისი შეკითხვები ვიზიტის დროს დაისვა აკადემიურ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფის მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა აკადემიური პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტის განმარტებით, ისინი გაესაუბრნენ სამ დამსაქმებელს და ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათი ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში იყო ძალიან დაბალი.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციით, ექსპერტის დავით სიხარულიძის განმარტებით, აკადემიურ პერსონალს ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია. თუმცა პრობლემა სწორედ ის იყო, რომ ისინი არ იყვნენ ჩართულები პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. ასევე, ექსპერტის განმარტებით, აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები და პირადი საქმეებიც შემოწმდა.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამები შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო პერსონალი „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან". ის დაინტერესდა, მიუთითებდა თუ არა ეს ფაქტი იმ გარემოებაზე, რომ შესაძლოა პროგრამები დაწესებულებას თავად არ შეუქმნია. ექსპერტის დავით სიხარულიძის განმარტებით, აკადემიურ პერსონალთან საუბრის შემდეგ დაფიქსირდა, რომ მათი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში იყო ძალიან სუსტი და მინიმალური.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა მიმართა ექსპერტებს, რომ თუ დაწესებულებაში მიმდინარეობდა სწავლის პროცესი და რატომ იყო აკადემიური პერსონალი ნაკლებად ჩართული პროცესში. ჯგუფის თავმჯდომარის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, აღნიშნულში იგულისხმებოდა პერსონალის ნაკლები ჩართულობა პროგრამების განვითარების პროცესში. აქვე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამების შეფასებისას მათ არ ჰყავდათ სტომატოლოგიის დარგობრივი სპეციალისტი ექსპერტთა ჯგუფში.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, რატომ შეფასდა პროგრამები, როგორც „მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო პერსონალი „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან", რადგან აღნიშნული შეფასება მისთვის ალოგიკური იყო. ასევე, ის დაინტერესდა პროგრამაში მითითებულ პერსონალს ჰქონდა თუ არა ყველას შრომითი ხელშეკრულება. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, პროგრამებში დოკუმენტურად ყველაფერი იყო წესრიგში. პერსონალს ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. მისი განმარტებით, წარმოდგენილი პროგრამები სხვაგვარად შეფასების საშუალებას არ იძლეოდა, რადგან პროგრამებს სიღრმისეულად ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებდა, ვინაიდან მონიტორინგი ხორციელდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მარინა კობახიძის განმარტებით, 2019 წლის 20 ივნისიდან იყო დასაქმებული დაწესებულებაში. მისი განმარტებით, სტომატოლოგიის პროგრამის მიმართულებით, წინა მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების მიხედვით, დაწესებულებაში არსებობდა ხარვეზები, კერძოდ, პრაქტიკული საათების ნაკლებობა და მცირე რაოდენობის მემორანდუმები კლინიკებთან. მარინა კობახიძის განმარტებით, ეს ხარვეზები უკვე გამოსწორებული იყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს. ასევე, დაწესებულებაში მოხდა ახალი პერსონალის მიღება და სასწავლო ლიტერატურის განახლებაც. მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მხოლოდ 2 შენიშვნა იქნა გაცემული და ორივე გამოსწორებული იყო დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრეებს, თუ აღარ არსებობდა დამატებითი შეკითხვა მესამე სტანდარტთან მიმართებით, დაეწყოთ მეოთხე სტანდარტის განხილვა.
ექსპერტმა ნინო ტალიაშვილმა გააცნო საბჭოს მეოთხე სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები. მისი განმარტებით, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ კონკურსის წესით ხდებოდა მათი შერჩევა, მათ შორის რექტორის. თუმცა, ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები არ იყო ნათელი. ასევე, არ არსებობდა ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მექანიზმი და ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რექტორი თავად წყვეტდა ვინ როგორ წაეხალისებინა. მისი განცხადებით, დაწესებულებაში ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება არ ხდებოდა. ასევე, არსებობდა პრობლემა აკადემიური პერსონალის შერჩევის კონკურსის წესთან დაკავშირებით. კერძოდ, კონკურსის კრიტერიუმები არ იყო დაკონკრეტებული. დაწესებულებაში პერსონალი ფასდებოდა გარკვეული ქულობრივი სისტემით, რომელიც არ იყო ექსპერტებისთვის ნათელი. კერძოდ, არ არსებობდა არანაირი მითითება თუ რამდენი ქულა იყო საჭირო მინიმალური ზღვარის გადალახვისთვის, ან რამდენი იყო ეს მინიმალური ზღვარი. ასევე, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ აკადემიურმა პერსონალმა არ იცოდა რა განსხვავება იყო აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის. აკადემიურმა პერსონალს საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია როგორ ხდებოდა აკადემიურ საბჭოში პერსონალის არჩევა.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა რამდენი აფილირებული აკადემიური პერსონალი ჰყავდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, დაწესებულებას ჰყავდა 20 აფილირებული და 43 მოწვეული პერსონალი.

დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსის თემურ წურწუმიას განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე შერჩევის წესი, იქმნებოდა შესაბამისი კომისია და ღია კენჭისყრის გზით იღებდა გადაწყვეტილებას. ასევე, არსებობდა საკონკურსო პოზიციებზე სამუშაო აღწერილობებიც. მეორე ეტაპზე კი ხდებოდა გასაუბრების ორგანიზება კომისიასთან. აღნიშნული წესი დაწესებულების ვებ გვერდზეც იყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრი ქეთევან ცხადაძე დაინტერესდა, თუ არსებობდა დაწესებულებაში ატესტაციის წესი. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, დაწესებულებაში ატესტაციის ჩატარების დებულება არსებობდა, თუმცა ჯერ არ იყო განხორციელებული.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა თუ გაეცნენ ექსპერტები აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით ჩატარებული კონკურსების დოკუმენტაციას. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ დოკუმენტაციას, სადაც კომისიის მიერ მინიჭებული იყო ქულები და არ იყო ახსნილი თავად ქულების მნიშვნელობა, რამაც პროცესის გამჭვირვალობა ეჭვქვეშ დააყენა. რაც შეეხებოდა ატესტაციას, კანონის მიხედვით, როდესაც უვადოდ იყო პირი დანიშნული, მას ეხებოდა ატესტაცია ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. იურიდიული სამსახურის უფროსის თემურ წურწუმიას განმარტებით, დაწესებულებას არ ჰყავდა უვადოდ არჩეული პერსონალი შესაბამისად ატესტაციის წესიც არ იყო ამოქმედებული. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, როდესაც პერსონალს

ჰქონდა დოქტორანტის ხელმძღვანელობის გამოცდილება, მას დამატებით ენიჭებოდა 12 ქულა და ქულები ასევე დაკავშირებული იყო პერსონალის გამოცდილებასთან. დაწესებულების მხრიდან, პროფესორისთვის მინიმალური ზღვარის დაწესება კი იქნებოდა შეურაცხმყოფელი.

საბჭოს თავმჯდომარის მარიამ დარბაიძის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი იყო შეფასებული როგორც „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაბამისად, მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაესახელებინათ მყარი არგუმენტები არსებულ შეფასებასთან მიმართებით. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი მოიცავდა როგორც ადმინისტრაციულს, ისე აკადემიურ პერსონალს. აღნიშნული შეფასების პირველი გარემოება იყო ის, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არ იყო მორგებული უნივერსიტეტის სტრუქტურასთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შეფასება და აღმოჩნდა, რომ იგი რიგ შემთხვევებში ემთხვეოდა სხვა ავტორიზებული დაწესებულების იგივე შინაარსის დოკუმენტს. მაგალითად: სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის 6-7 გვერდებზე არსებული ჩანაწერები, იდენტურია თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ანალოგიური დოკუმენტის 6-7 გვერდებზე არსებული ჩანაწერებისა. ასევე, 13-14 და 16-17 გვერდები, 17-18 და 23-24 გვერდები, 24 და 27 და სხვა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ იყო მორგებული თდასუს საჭიროებებზე. მეორე მხრივ, არ იყო ნათელი აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები არ არსებობდა. არ არსებობდა პერსონალის წახალისების მექნიზმები. ასევე, არ არსებობდა დიფერენციაცია აკადემიურ და აფილირებულ აკადემიურ პერსონალს შორის. ასევე, ადმინისტრაციულ პერსონალთან რიგ შემთხვევებში შრომითი ხელშეკრულებები დადებული იყო 1 წელზე ნაკლები ვადით. შრომის კოდექსის მიხედვით, ხელშეკრულება უნდა დაიდოს 1 წლით ან მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლები (მაგალითად: შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო; შესასრულებელია სეზონური სამუშაო; სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდებოდა და სხვა). წარმოდგენილ ხელშეკრულებებში ასეთი საფუძვლები არ იყო მითითებული. ამდენად, რიგი ხელშეკრულებები შრომის კოდექსის დარღვევით იყო გაფორმებული. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მეოთხე სტანდარტი „არ იყო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს წევრის გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, დასკვნაში იყო საუბარი ხელშეკრულებების ვადებზე. მათ შორის თემურ წურწუმიას ხელშეკრულება იყო წარმოდგენილი, რომელსაც ვადა გასდიოდა 3 იანვარს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ იდებოდა დაწესებულებაში მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები.

იურიდიული სამსახურის უფროსის თემურ წურწუმიას განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მიგნება იყო, რომ არსებობდა პრობლემა შრომის კოდექსის მე-6 მუხლთან დაკავშირებით. თუმცა, თემურ წურწუმის განმარტებით, ყველა შრომით ხელშეკრულებას გააჩნდა შეთანხმება, რომლებიც იყო ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. სწორედ, აღნიშნულ შეთანხმებაში იყო მითითებული, რომ ხელშეკრულებები გაგრძელდებოდა 2020 წლის 31 დეკემბრამდე. ამ შემთხვევაში ეს პროცესი არ მოდიოდა შრომის კოდექსთან წინააღმდეგობაში. აღნიშნული შეთანხმება გაკეთებული იყო

სექტემბერის თვეში. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, პრობლემა არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტშივე. კერძოდ, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა ყოფილიყო გამოსაცდელი ვადა, ხოლო 1 წელზე ნაკლები ვადით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ხელშეკრულებაში უნდა ყოფილიყო გარკვეული მიზეზები მითითებული, სწორედ, ამას ითვალისწინებდა შრომის კოდექსის შესაბამისი მუხლი.

რექტორის არჩევასთან დაკავშირებით ექსპერტმა ნანა დიხამინჯიამ აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს წევრები 20 წუთის განმავლობაში ერთმანეთში კამათობდნენ თუ როგორ ხდებოდა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის არჩევა. იურიდიული სამსახურის უფროსის თემურ წურწუმიას განმარტებით, პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ექსპერტებს გადაეცათ პერსონალის პირადი საქმეები. ასევე, ექსპერტების დასკვნაში არსებობდა ჩანაწერი პერსონალის დატვირთვის სქემებთან დაკავშირებით, მისი განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა 12 თვიანი დატვირთვების სქემები.

ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს დატვირთვის სქემები. 2019-2020 წლის დატვირთვის სქემების ნაცვლად, მათ დაწესებულებამ მიაწოდა 2018-2019 წლის დატვირთვის სქემა. მისი განმარტებით, დამატებით თუ დაწესებულებას რამე ჰქონდა და წარმოდგენა შეეძლო, ექსპერტებს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა თუ შეამოწმეს ექსპერტებმა განათლების საინფორმაციო ცენტრის ბაზები, რათა რეალურად ენახათ რა მდგომარეობა იყო და რამდენი აფილირებული აკადემიური პერსონალი ჰყავდა დაწესებულებას. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, მათ ეს ბაზა არ გადაუწმომებიათ. წინა წარმოების ფარგლებში, ექსპერტებს აღნიშნული ჰქონდათ, რომ დაწესებულებაში არ არსებობდა პერსონალის დატვირთვის მონიტორინგის შესაბამისი ეფექტიანი მექანიზმები, ანუ მექანიზმის შემუშავებაზე იყო აქცენტი გასაკეთებელი. დაწესებულების წარმომადგენლის თემურ წურწუმიას განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა აფილირების წესი და აკადემიურმა პერსონალმა ამის შესახებ იცოდა.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, რამდენი თვის განმავლობაში იღებდა ანაზღაურებას აფილირებული აკადემიური პერსონალი. იურიდიული სამსახურის უფროსის თემურ წურწუმიას განმარტებით, პერსონალი ხელფასს იღებდა 12 თვის განმავლობაში. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, დაწესებულებაში არ არსებობდა 12 თვიანი ხელშეკრულება და ანაზღაურება ხდებოდა საათობრივად. ასევე, არ არსებობდა ანაზღაურებების დიფერენციაცია აფილირებულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა საბჭოს დაეწყოთ მეხუთე სტანდარტის განხილვა. ექსპერტმა ნანა დიხამინჯიამ წარმოადგინა მეხუთე სტანდარტის შეჯამება. მისი განმარტებით, 5.1 კომპონენტი შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან სტუდენტები ინფორმირებულები იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ. რაც შეეხებოდა სტუდენტის სტატუსის მოპოვებასა და შეჩერებას, ეს იყო სტანდარტული წესი, რაც დაწესებულებაში არსებობდა. რაც შეეხებოდა სტუდენტების მხარდაჭერის სერვისებს, შესაბამისი სამსახურიც არსებობდა დაწესებულებაში. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას

განმარტებით, ვიზიტის დროს, აღნიშნულ სამსახურს ჰყავდა კოორდინატორი და მენეჯერი. ვიზიტის დროს, სწორედ კოორდინატორი საუბრობდა და სცემდა პასუხებს ექსპერტთა კითხვებს, ხოლო თავად მენეჯერი არ იცნობდა სამსახურის ფუნქციებს.

ასევე, ექსპერტების რეკომენადციით, უნივერსიტეტს უნდა გაეძლიერებინა საერთაშორისო თანამშრომლობა. ასევე, დაწესებულებაში ტარდებოდა სტუდენტური კონფერენცია და მცირე სტუდენტური პროექტები. ექსპერტის თქმით, სტუდენტებს არ ჰქონდათ წარმოდგენა გაცვლითი პროგრამების შესახებ და არ ფლობდნენ ინფორმაციას თუ ვინმე იყო წასული საზღვარგარეთ. ექსპერტის განმარტებით დაწესებულებაში ტარდებოდა სტუდენტური კონფერენცია და ხორციელდებოდა მცირე სტუდენტური პროექტები.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი იყო გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასული. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, მათ ჰქონდათ კომუნიკაცია სხვადასხვა უნივერსიტეტთან ერაზმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. დავით გუბელაძის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რამდენმა სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით დაწესებულების არსებობის 28 წლის განმავლობაში. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, უნივერსიტეტს 22 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული. ასევე, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილი ჰქონდათ 5 ადგილი, თუმცა სტუდენტები არ იყვნენ დაინტერესებულნი მიეღოთ მონაწილეობა. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, ვიზიტის დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აღნიშნული გაცვლითი პროგრამები ეგონათ ფასიანი და არ იცოდნენ, რომ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე სტუდენტებს აეხსნათ, რატომ არ სურდათ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება და რატომ აირჩიეს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის განცხადებით, რაოდენობრივად ცოტანი სწავლობდნენ დაწესებულებაში და მას მოსწონდა ინდივიდუალური მიდგომა, რაც არსებობდა უნივერსიტეტში. გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მუშაობდა და არ სურდა წასვლა ქვეყნის გარეთ. ხოლო, სწავლების სამაგისტრო საფეხურზე კი აპირებდა გაცვლითი პროგრამებით სარგებლობას.

მეექვსე სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტმა ნანა დიხამინჯიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ ხდებოდა კვლევების შეფასება. კონფერენცია იმართებოდა და კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები ქვეყნდებოდა ჟურნალის სახით. ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილება იყო წიგნის ბეჭდის დაფინანსება. სწორედ, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოიკვლია ეს საკითხი და აღმოჩნდა, რომ წიგნის ავტორი საერთოდ არ იყო დაწესებულების აკადემიური პერსონალი.

საბჭოს წევრი ქეთევან კოტეტიშვილი დაინტერესდა დაწესებულების თანამშრომლობით 22 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საზღვარგარეთ. მისი განმარტებით, მან ვერ იპოვა შესაბამისი ინფორმაცია დაწესებულების ვებ გვერდზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული ხელშეკრულებების ვადით. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უკრაინის

უნივერსიტეტის პროფესორის მიერ წარმოდგენილი კვლევა მათ დაწესებულებას არ ეთვლებოდა. საბჭოს წევრი ქეთევან კოტეტიშვილი დაინტერესდა დაწესებულების პერსონალის გამოქვეყნებით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. დაწესებულების წარმომადგენლის დავით გუბელაძის განმარტებით, მათ კვლევის ჩამონათვალი მიაწოდეს ექსპერტებს. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, არსებობდა კვლევების ჩამონათვალი, თუმცა არა რეფერირებად ჟურნალებში.

დაწესებულების წარმომადგენლის დავით გუბელაძის განმარტებით, დადებული ხელშეკრულებები უცხოურ უნივერსიტეტებთან იყო უვადო. თუ ხელშეკრულების შეჩერების სურვილს რომელიმე მხარე გამოთქვამდა, უნდა ეცნობებინა მეორე მხარისთვის. უკვე აღნიშნულ 22 უსდ-ს გარდა, 4 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ასევე გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელთან ერთად, ერთობლივ პროგრამას ძალიან მალე შემოიტანდნენ სააკრედიტაციოდ.

საბჭოს წევრის ქეთევან კოტეტიშვილის განმარტებით, მან ვერ იპოვა ვერცერთი ხელშეკრულება. საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულების თანამშრომლობით ავსტრიის უნივერსიტეტთან, კერძოდ რა ეტაპზე იყო ეს თანამშრომლობა, კერძოდ, კავკასიოლოგიის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ორივე მხარემ დაიწყო თანამშრომლობა ერთობლივი კვლევების ჩატარების მხრივ, ეკონომიკისა და დიპლომატიის მიმართულებით.

საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა დაწესებულების ჟურნალით „აღმაშენელი". დაწესებულების წარმომადგენლის დავით გუბელაძის განმარტებით, დაწესებულებაში პროფილის შესაბამისად არსებობდა ჟურნალები. გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, დაწესებულებას უნდა ჰქონოდა ერთი გამოკვეთილი პროფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა საბჭოს წევრებს და დამსწრეებს დაეწყოთ მე-7 სტანდარტის განხილვა. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, ორი კორპუსი ჰქონდა დაწესებულებას - რუსთავის გზატკეცილზე და ცინცაძეზე. პირველი შენობა არ იყო მოწყობილი სასწავლო პროცესისთვის. მეორე შენობაში სივრცე არ იყო საკმარისი იმ რაოდენობის სტუდენტებისთვს, რაც დაწესებულებას ზღვრულ რაოდენობად ჰქონდა საბჭოს მეირ განსაზღვრული. ასევე, ექსპერტებისთვის არ ყოფილა წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ცინცაძის ქუჩაზე მდებარე კორპუსში, სასწავლო სივრცე იყო ძალიან მცირე. ექსპერტის განმარტებით, ცინცაძის კორპუსში არ არის გამოყოფილი სივრცეები სტუდენტებისთვის, არ იყო საკონფერენციო დარბაზი, სამკითხველო დარბაზი იყო საკმაოდ მცირე ზომის. რიგ ლაბორატორიებში/კაბინეტებში არც სავენტილაციო სისტემაა და არც კონდიცირება არ ხორციელდებოდა. შენობაში არ იყო სარეკრეაციო სივრცე. ამასთან, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე შენობა არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს. ვიზიტის დროს, ისევე როგორც წინა ვიზიტის დროს, აღნიშნულ ფართში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შენობა არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული, შენობაში არ იყო გამოყოფილი შემდეგი ფართები: სარეკრეაციო სივრცე, სივრცე სტუდენტების ჯგუფური მუშაობისთვის, არქივი.

დაწესებულებას არ ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი; დაწესებულებას არ წარმოუდგენია დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა თუ ჰყავდა დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი არ ჰყავდა. საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, შრომის კოდექსით ეს სავალდებული იყო. ასევე, საბჭოს წევრის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო ჩანაწერი, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ მიეწოდა მოგება-ზარალი უწყისები ბოლო სამი წლის განმავლობაში. საბჭოს წევრის განმარტებით, უმჯობესი იყო დაწესებულებას მიეწოდებინა ეს დოკუმენტაცია ექსპერტებისთვის, რათა უფრო კარგად შეფასებული დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. დაწესებულების წარმომადგენელის დავით გუბელაძის განმარტებით, მათ ეს დოკუმენტაცია ექსპერტებს მიაწოდეს. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. ვიზიტის დროს ეს დოკუმენტები იყო მოთხოვნილი, თუმცა ადგილზე მათი წარმოდგენა ვერ მოხერხდა დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, აუდიტის საექსპერტო დასკნაც იყო ზოგადი შინაარსის მატარებელი. ექსპერტის ნანა დიხამინჯიას განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის, ექსელის ფაილის მიწოდებაც კი საკმარისი იქნებოდა შესაფასებლად.

დაწესებულებამ საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი. საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო მოგება-ზარალის დოკუმენტი, არამედ დაგეგმილი აქტივობები იყო ბიუჯეტში გაწერილი, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული არც მთლიანი ბიუჯეტი და არც ხარჯი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით გუბელაძემ საბჭოს წევრებს აჩვენა დაწესებულებაში მოწყობილი სივრცეები სტუდენტებისთვის. აღნიშნული სურათები განთავსებული იყო დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე. ექსპერტის ნინო ტალიაშვილის განმარტებით, სურათებზე წარმოდგენილი სივრცე იყო დაწესებულებაში არსებული კაფეტერია.

ექსპერტის ნანა დიხამიჯიას განმარტებით, რუსთავის გზატკეცილზე მდებარე შენობა სტუდენტების მისაღებად არ იყო მზად. ვიზიტის დროს ერთ-ერთ ოთახში მეორე სართულზე მათ დახვდათ მოწყობილი საძინებელი. ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა აღნიშნულ მისამართზე რემონტი.

მარიამ დარბაიძემ მიმართა დაწესებულებას ხომ არ ჰქონდა განცდა, რომ რომელიმე საკითხი ამოუწურავი დარჩა.

დაწესებულების წარმომადგენლის დავით გუბელაძის სურვილი იყო სურათების ჩვენება საბჭოს წევრებისთვის, დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ. დაწესებულების

რექტორის ანზორ შარაშენიძის განმარტებით, უნივერსიტეტის განვითარებისთვის აუცილებელი იყო სარემონტო სამუშაობის განხორციელება. რექტორის თქმის, უნივერსიტეტი 28 წელი იყო არსებობს და მას ავტორიზაციაც გავლილი ჰქონდა და პროგრამების აკრედიტაციაც. თუმცა, მაშინ სტანდარტებიც განსხვავებული იყო. მისი განმარტებით,შენობა აბსოლუტურად კარგ მდგომარეობაში იყო, ერთადერთი გათბობის საკითხი იყო მოგვარების პროცესში. დაწესებულებას ჰქონდა გათბობა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა იმ ტიპის გათბობა დაიწუნეს და დაწესებულებამ ცენტრალური სისტემის დამონტაჟება დაიწყო. ექპერტების ვიზიტის დროს კი მიმდინარეობდა გარკვეული სამუშაოები, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ არ გაკეთებულიყო რემონტი. დაწესებულება დაიწყო რემონტი, რადგან აღნიშნულ მისამართზე სტუდენტები არ იყვნენ და სექტემბრისთვის ყველაფერი მოწესრიგებული იქნებოდა. დაწესებულებას ჰქონდა 2 ჰექტარი ბაღი, თავისი საერთო საცხოვრებლით. მის მიერ უნივერსიტეტის განვითარებისთვის 944 000 ლარი იყო გამოყოფილი.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:35 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა როდის სრულდებოდა მიმდინარე სასწავლო სემესტრი დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენლის დავით გუბელაძის განამარტებით, მიმდინარე სემესტრი სრულდებოდა 2020 წლის 15 თებერვალს.

საბჭოს თავმჯდომარის მარიამ დარბაიძის განმარტებით, წინა მონიტორინგის შემდეგ, საბჭოს სურდა, რომ დაენახა დაწესებულების განვითარების ტენდენცია საბჭოს მიერ მიცემული 60 დღიანი ვადის პირობებში. მისი განმარტებით, პირველ სტანდარტთან მიმართებით, არარეალური იყო ბიუჯეტის გადანაწილება. კერძოდ, ის რიცხვები, რაც მითითებული იყო თითოეული აქტივობის განხორციელებაზე არ შეესაბამებოდა რეალობას. მეორე მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო ადმინისტრაციული პერსონალი, რომელმაც არ იცოდა საკუთარი ფუნქციების შესახებ. მესამე პრობლემა, რაც გამოვლინდა იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა დიდი ნაწილიც გადმოტანილი იყო სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და არ იყო მორგებული უნივერსიტეტის საჭიროებებზე, სტრუქტურასა და მიზნებზე. ასევე, დიდ პრობლემას წარმოადგენდა მეოთხე სტანდარტის, პერსონალის შეფასება, რომელზეც საბჭომ უკვე იმსჯელა, თუმცა დაწესებულების მხრიდან არ მომხდარა ისეთი არგუმენტების წარმოდგენა, რომ გამოეწვია საბჭოს მხრიდან შეფასების ცვლილება. თავმჯდომარის განმარტებით, საბჭომ ხარვეზები დაინახა არა მხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ აკადემიურ პერსონალთან მიმართებითაც. რთული იყო მდგომარეობა კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებითაც, რადგან მას არ ეგულებოდა საქართველოში სტუდენტი, რომელიც გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე უარს იტყოდა. ორივე სასწავლო შენობასთან მიმართებით კი იგივე პრობლემები არსებობდა, რაც წინა მონიტორინგის დასკვნის მიხედვითაც იყო დაფიქსირებული. საბჭოს მოსაზრებით, დაწესებულებაში მყოფი 300 სტუდენტის და მითუმეტეს 950 სტუდენტის განთავსება და სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელება ამჟამინდელ სივრცეში იყო შეუძლებელი. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად კი დაწესებულებას უკვე მიეცა 60 დღიანი ვადა, რაც დაწესებულების მიერ ვერ იქნა გამოსწორებული.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-2 პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ"ქვეპუნტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების საფუძველზე, შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204393717) გაუუქმდეს ავტორიზაცია. სტუდენტთა ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 15 თებერვლიდან.

17:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თინათინ ბოჭორიშვილმა და საბჭოს წევრმა რამაზ საყვარელიძემ.

2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნოდბნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულო პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს გააცნო ძირითადი მიგნებები - რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დიფერენცირებული გაფართოება (მაგალითად, მონაცემთა ანალიზის მიმართულებით).

რჩევები

- სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს ლექციების გრაფიკს და სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით მაქსიმალურად მოსახერხებელი, სტუდენტებზე ორიენტირებული ცხრილი შესთავაზოს სტუდენტებს.
  უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურ ბიუჯეტში განისაზღვრა 5% კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და განსავითარებლად. თუმცა, მუხლების მიხედვით არ არის გაწერილი და საჭიროებს ძირითადი მიმართულებების (გრანტები, პუბლიკაციები, სადოქტორო პროგრამა და სხვა) გამოკვეთას; ასევე მიზანშეწონილია დაუხარჯავი თანხების აკუმულირება მომდევნო წლისთვის, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას გარკვეული რეზერვი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები შეაჯამა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ღაღანიძემ. მისი განმარტებით, 2019 წლის 3-4 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა დაწესებულებაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულება და აღნიშნა, რომ 2018 წელს თბილისის სამედიცინო აკადემიამ წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი. მისი განმარტებით, ამჟამად, დაწესებულებაში ხორციელდებოდა ორი ერთსაფეხურიანი პროგრამა და ჰყავდათ 759 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. დაწესებულებას ჰყავდა 49 აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი იყო 2094,7 კვ.მ, ბილიოთეკა 197.5 კვ.მ, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები 252კვ.მ. ამასთან, უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 37 კლინიკასთან. 2019 წელს კი დაწესებულებამ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 525-ით გაზრდის მოთხოვნით მიმართა ცენტრს. ჯამში, ამ მოთხოვნის საფუძველზე, სტუდენტთა რაოდენობა დაწესებულებაში შეადგენდა 1300 სტუდენტს. გარდა

ამისა, ექსპერტთა ვიზიტის მიზანი იყო შეემოწმებინათ ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესრულებაც.

კონტინგენტის გაზრდის მოტივი უნივერსიტეტისთვის იყო ერთგვარი სტრატეგიული გათვლა როგორც მოქმედ ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა პროგრამებზე, რომელთა განხორციელებასაც დაწესებულება გეგმავდა და ამჟამად, მემუშავების პროცესში იყო. ეს ყველაფერი ექსპერტთა დასკვნაშიც იყო ასახული. ექსპერთა ჯგუფის ერთი რეკომენდაცია ეხებოდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დიფერენცირებულ გაფართოებას. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა კი დაკავშირებული იყო სტუდენტებზე ორიენტირებული ცხრილის შემუშავებაზე. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული მოსაზრება ვიზიტის დროს დაფიქსირდა უცხოელი სტუდენტების მიერ. ასევე, დაწესებულების ყოველწლიურ ბიუჯეტში იყო გაწერილი 5-6% კვლევისთვის, რომელიც არ იყო დიფერენცირებული და უკეთესი იქნებოდა ეს ჩაშლილიყო და მომხდარიყო დაუხარჯავი თანხების აკუმულირებაც შემდეგი წლისთვის.

საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განმარტებით, უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებული იყო რიგი შეუსაბამობები, კერძოდ ფართისა და პროფესორების რაოდენობის თვალსაზრისით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ექსპერტთა მიერ რის საფუძველზე განხორციელდა შეფასება, დასკვნაში მითითებული რაოდენობის თუ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რაოდენობების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოხდა რაოდენობების დაზუსტება. გაზრდილ კონტინგენტთან მიმართებით კი დასკვნაში მითითებული რესურსებიც საკმარისი იყო. ძველი მონაცემებიც, 50 აკადემიური და 71 მოწვეული პერსონალი საკმარისი იყო,1300 სტუდენტისთვის.

საბჭოს წევრის მარინა გედევანიშვილის განმარტებით, დასკვნაში აღნიშნული იყო რომ აღნიშნული რესურსი არ იქნებოდა საკმარისი სხვა პროგრამების დამატების შემთხვევაში. ექსპერტის განმარტებით, ამ ეტაპზე ჯგუფი ვერ შეაფასებდა იმ პროგრამებს, რომელთა განხორციელებასაც დაწესებულება სამომავლოდ გეგმავდა.

საბჭოს წევრის გიორგი აბრამიშვილის თქმით, დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულება თანადაფინანსების წესით აფინანსებდა დასაქმებულ კურსდამთავრებულებს. საბჭოს წევრი დაინტერესდა რას ნიშნავდა აღნიშნული.

დაწესებულების რექტორის ირინა შოთაძის განმარტებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არ იყო მაღალი. ბევრი კურსდამთავრებული არ აბარებდა სარეზიდენტო გამოცდას და მუშაობდა სასწრაფო დახმარების სერვისში, სადაც საშუალო ხელფასი ჰქონდათ დაახლოებით 800 ლარი. დაწესებულების ხელშეწყობით, კურსდამთავრებული ემზადებოდა სარეზიდენტო გამოცდისთვის, ხოლო დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული შეთანხმება კლინიკა „კურაციოსთან", სადაც კურსდამთავრებული ოჯახის ექიმის ასისტენტად იწყებდა მუშაობას, რომლის ანაზღაურებაც ასევე დაბალი იყო, თუმცა 800 ლარამდე განსხვავებას უნივერსიტეტი თანააფინანსებდა.

საბჭოს წევრის რიმა ბერიაშვილის განმარტებით, მთელ მსოფლიოში რეზიდენტებს ფულს უხდიდნენ, ხოლო საქართველოში პირიქით თავად რეზიდენტებს უწევდათ თანხის გადახდა.

საბჭოს წევრის გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, დაწესებულების პლაგიატის განმსაზღვრელი დოკუმენტი ჰგავდა კარგად მომზადებულ მეთოდურ სტატიას და უკეთესი იქნებოდა თუ რეგულაციის სახეს მიიღებდა. დაწესებულების რექტორის განცხადებით, მათთვის მისაღებია ეს შენიშვნა და იმუშავებდნენ აღნიშნული ხარეეზის გამოსწორების მიზნით.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა რა განსხვავება იყო პროგრამებს - სამკურნალო საქმესა და მედიცინას - შორის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განსხვავება იყო მხოლოდ სწავლების ენა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204861961) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 300-ით.

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება გამოაცხადეს საბჭოს წევრებმა აკაკი ხელაძემ და ირაკლი ხვთისიაშვილმა.

ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტმა, თინათინ დვალიშვილმა წარმოადგინა შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის შერწყმასთან დაკავშირებული კორესპოდენცია, რომელიც ცენტრში 2019 წლის 16 დეკემბერს იქნა წარმოდგენილი.

აღნიშნული კორესპოდენციით, შპს კავკასიის უნივერსიტეტმა მიაწოდა ინფორმაცია ცენტრს, რომ 2019 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე შპს კავკასიის უნივერსიტეტმა (ს/კ 205050567) მიიერთა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი (ს/კ 405014979).

ცენტრის წარმომადგენლის თინათინ დვალიშვილის განმარტებით, შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შერწმის შედეგად, შპს საქართველოს ბანკის ორი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში განაგრძობდა ფუნქციონირებას შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფარგლებში. ასევე, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები (აქტიური და სტატუსშეჩერებული) ემატებოდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებელს შესაბამისის პროგრამების მიხედვით. შედეგად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას ემატებოდა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. ასევე, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები გააგრძელებდნენ სწავლას შპს კავკასიის უნივერსიტეტის კუთვნილ სასწავლო შენობაში. შპს კავკასიის უნივერსიტეტს გადმოეცემოდა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის არქივი, მარეგულირებელი და მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები. ხოლო, შპს კავკასიის უნივერსიტეტს არ ემატებოდა საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტმა ცენტრში წერილთან ერთად დანართის სახით წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ორი იურიდიული პირის შერწყმის შესახებ. ასევე, ინფორმაცია შპს კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების, ასევე სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ადასტურებდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას და ასევე, პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც განახორციელებდა შპს კავკასიის უნივერსიტეტი რეორგანიზაციის შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილის მიხედვით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ქ. თბილისში განისაზღვრებოდა 5000 სტუდენტით, ხოლო ქ. ბათუმში - 215 სტუდენტით.

კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის კახა შენგელიას განცხადებით, აღნიშნული გაერთიანება იქნებოდა მისალოცი ყველა მხარისთვის. მისი თქმით, ძალიან დიდი რესურსი იქნა შეძენილი კავკასიის უნივერსიტეტის მიერ საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის დახმარებით. დაწესებულების წარმომადგენლის ნუგზარ სხირტლაძის განმარტებით, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიღება იყო დიდი პასუხისმგებლობა და მზად იყვნენ, რომ სტუდენტებისთვის მაქსიმალურად შეექმნათ კომფორტი. შესაბამისად, მეორე სემესტრიდან დაწესებულება ემზადებოდა მათ მისაღებად. რექტორის კახა შენგელიას განმარტებით, აბსოლუტურად ყველა პირობა იგივე იქნებოდა სტუდენტებისთვის, რაც შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში ჰქონდათ. კერძოდ, მათ საშუალება ექნებოდათ ესწავლათ იგივე პროგრამებზე და მათთვის სწავლის გადასახადიც იგივე დარჩებოდა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დიანა მჭედლიშვილის განმარტებით, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტიდან 133 სტუდენტი გადმოდიოდა და ასევე, უერთდებოდათ ორი პროგრამა. მისი განმარტებით, დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ჰქონდა 5215 და სამომავლოდ, მისი გაზრდა სურდათ, რადგან უკვე ავტორიზაციის პროცესი გაიარეს და მათ მიერ შემუშავებული ფორმულის მიხედვით, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო შემოწმებული, დაწესებულებას შეეძლო მომსახურებოდა 5776 სტუდენტს. მისი განმარტებით, დაწესებულების მხრიდან ყველა რესურსი არსებობდა სტუდენტების მისაღებად.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, როდის გასდიოდა დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა.

კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის კახა შენგელიას განმარტებით, შპს კავკასიის უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადა ჰქონდა 2020 წლის 30 დეკემბრამდე.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, თუ ემთხვეოდა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამები შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამებს. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დიანა მჭედლიშვილის განმარტებით, შპს კავკასიის უნივერსიტეტს ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ჰქონდა ფინანსების, მენეჯმენტის და საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებები. სამაგისტრო პროგრამა კი შედარებით უფრო განსხვავებული იყო.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, მოხდებოდა თუ არა აღნიშნული პროგრამების აკრედიტაცია შპს კავკასიის უნივერსიტეტის სახელით.

დაწესებულების წარმომადგენლის დიანა მჭედლიშვილის განმარტებით, 2016 წელს იყო აკრედიტებული ერთი პროგრამა და 2021 წელს უწევდა შვიდწლიანი აკრედიტაცია. ხოლო, მეორე პროგრამა კი 2019 წელს იყო აკრედიტებული.

საბჭოს წევრის ქეთევან ცხადაძის განმარტებით, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო უზრუნველყოფდა განათლების უფლებას, რომელიც პირველ რიგში დაკავშირებული იყო სტუდენტის არჩევანზე თუ სად სურდა მიეღო ხარისხიანი განათლება. მისი განცხადებით, აღნიშნულ მოცემულობაში ეს უფლება შეზღუდული იყო, რადგან შეთანხმება შედგა არა სტუდენტსა და დაწესებულებას შორის, არამედ ორ სუბიექტს შორის. რექტორის კახა შენგელიას განმარტებით, სტუდენტები დაწესებულებაში გადავიდოდნენ არა იძულებით, არამედ მობილობის გზით, რომელიც იყო ღია და გამჭვირვალე პროცესი და თუ სტუდენტს სურდა, მას შეეძლო სხვა უნივერსიტეტზე გაეკეთებინა არჩევანი.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, შერწყმის შემთვევაში თუ ეკითხებოდნენ სტუდენტს პოზიციას. საბჭოს მდივნის ნინო ხოლუაშვილის განმარტებით, აღნიშნული პროცესი ბიზნესის შერწყმის კანონმდებლობით რეგულირდებოდა.

საბჭოს წევრის ქეთევან ცხადაძის განმარტებით, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი იყო სპეციფიკური პროფილის მქონე დაწესებულება და როდესაც სტუდენტი მას ირჩევდა, ეს ნიშნავდა, რომ სამომავლოდ განსხვავებული გეგმები ჰქონდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ სტუდენტი არ გადავიდოდა შპს კავკასიის უნივერსიტეტში, მაშინ რა იყო დაწესებულების ინტერესი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, ინტერესი იყო ის რესურსი, რაც შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნდა.

საბჭოს წევრმა აკაკი ხელაძემ აღნიშნა, რომ მხარეებს შორის არსებობდა შეთანხმება, რომ შერწყმის პროცესი მოხდებოდა სემესტრის დასრულების შემდგომ, ახალ უნივერსიტეტს კი უსურვა წარმატება. საბჭოს წევრის ირაკლი ხვთისიაშვილის განცხადებით, კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება ხელს შეუწყობდა სტუდენტებს, რომ ტრანზიციის პროცესი გაადვილებოდათ.

ცენტრის წარმომადგენლის ლაშა მარგიშვილის განმარტებით, ავტორიზებული დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულება ითვლებოდა ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით. თუ ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლა ემთხვეოდა რეორგანიზაციის პერიოდს, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო უფლებამოსილი იყო განესაზღვრა რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და ამ რეორგანიზაციის

შედეგად ჩამოყალიბებული შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ვადის 1 (ერთი) წლით განსაზღვრისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ქ. თბილისში 5 000-ით, ხოლო ქ. ბათუმში 215 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შპს კავკასიის უნივერსიტეტის (ს/კ 205050567) ავტორიზაციის ვადად გადაწყვეტილების მიღებიდან განისაზღვროს 1 (ერთი) წელი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ქ. თბილისში განისაზღვროს - 5 000 ით, ხოლო ქ. ბათუმში - 215 -ით.

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის დასრულების ვადა	პროგრამის განხორციელების ადგილი
სკოლის დასახელება: კავკასიის ბიზნესის სკოლა (CSB)								
1	ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02	240	აკრედიტებული	25.06.2019 №136	25.06.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
2	ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები,, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02	120	აკრედიტებული	25.06.2019 №137	25.06.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
3	მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში	ქართული	მენეჯმენტის მაგისტრი 0203	120	აკრედიტებული	28.06.2019 №145	28.06.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
4	კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი 0801	120	აკრედიტებული	22.07.2015 №76	22.07.2020	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

5	ბიზნესის მართვის ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა (ბიზნეს-კვლევა, გლობალური მენეჯმენტი, მენეჯმენტ-კონსალტინგი)	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02	120	ავტორიზებული	24.06.2014 №18	20.12.2020	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო; პიერ სემარდის 12, 38000, გრენობლი, საფრანგეთი
6	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა *(ხორციელდებოდა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში)*	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02	240	აკრედიტებული	17.05.2016 №17	17.05.2023	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
7	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში *(ხორციელდებოდა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში)*	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტით)	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში 0204	120	აკრედიტებული	07.03.2019 №62	07.03.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
სკოლის დასახელება: კავკასიის სამართლის სკოლა (CSL)								
1	სამართლის საბაკალავრო პროგრამა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	სამართლის ბაკალავრი 06	240	აკრედიტებული	01.04.2019 №86	01.04.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო; თაყაიშვილის ქ. 36-38, ქ. ბათუმი 6000, საქართველო
2	სამართლის სამაგისტრო პროგრამა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	სამართლის მაგისტრი 06	120	აკრედიტებული	18.04.2019 №100	18.04.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო; თაყაიშვილის ქ. 36-38, ქ. ბათუმი 6000, საქართველო
3	სამართლის სადოქტორო პროგრამა	ქართული	სამართლის დოქტორი 06	180	აკრედიტებული	01.04.2019 №87	01.04.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი

								0102, საქართველო
სკოლის დასახელება: კავკასიის მედიის სკოლა (CSM)								
1	PR (პიარისა) და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი 07	240	აკრედიტებული	10.12.2019 №231	10.12.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
2	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში 0703	240	აკრედიტებული	27.06.2019 №139	27.06.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
3	მედიახელოვნებისა და რეჟისურის (აუდიოვიზუალური ხელოვნება) საბაკალავრო პროგრამა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	ხელოვნების ბაკალავრი აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში 0801	240	აკრედიტებული	02.12.2011 №380	31.12.2022	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
4	სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი საზოგადოებრივ ურთიერთობებში 070302	120	აკრედიტებული	11.12.2012 №764	31.12.2021	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
სკოლის დასახელება: კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა (CST)								
1	არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი 1101	240	აკრედიტებული	10.08.2016 №87	10.08.2023	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
2	ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში 0401	240	აკრედიტებული	02.07.2019 №147	02.07.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
3	ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი 04	240	აკრედიტებული	18.07.2017 №49	18.07.2024	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
4	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ	120	აკრედიტებული	02.07.2019 №148	02.07.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102,

			ტექნოლოგიებშ ი 040101					საქართველ ო
სკოლის დასახელება: კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა (CSG)								
1	დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში 0705	240	აკრედიტებული	25.06.2019 №135	25.06.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
2	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 1109	240	აკრედიტებული	05.07.2019 №157	05.07.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
3	დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობებ ის მაგისტრი 0705	120	აკრედიტებული	23.04.2019 №102	23.04.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
4	საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი 1109	120	აკრედიტებული	23.04.2019 №103	23.04.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
5	საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობებ ის დოქტორი 0705	180	აკრედიტებული	29.08.2016 №121	29.08.2023	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
სკოლის დასახელება: კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (CSH)								
1	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ევროპისმცოდნე ობის ბაკალავრი 1104	240	აკრედიტებული	05.07.2019 №158	05.07.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
2	ისტორიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში 1004	240	აკრედიტებული	02.12.2011 №381	01.07.2021	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო
3	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში 1005	240	აკრედიტებული	02.07.2019 №146	02.07.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველ ო

4	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0707	240	აკრედიტებული	11.12.2012 №761	31.12.2021	პაატა سააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
5	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი სოციოლოგიაში 0706	240	აკრედიტებული	11.12.2012 №762	31.12.2021	პაატა س�აკაძის ქ.1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
6	კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი 070709	120	აკრედიტებული	29.08.2016 №122	29.08.2023	პაატა سااკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
7	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში 100501	240	აკრედიტებული	01.06.2018 №68	01.06.2022	პაატა سااკაძის ქ.1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
8	კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი 0313	120	აკრედიტებული	17.12.2019	17.12.2023	პაატა سااკაძის ქ.1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
სკოლის დასახელება:	**კავკასიის განათლების სკოლა (CES)**							
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	ქართული	განათლების მაგისტრი 03	300	აკრედიტებული	07.03.2019 №60	07.03.2023	პაატა سااკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
სკოლის დასახელება:	**კავკასიის ტურიზმის სკოლა (CTS)**							
1	ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი 1120	240	აკრედიტებული	05.07.2019 №156	05.07.2026	პაატა سااკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო; თაყაიშვილის ქ. 36-38, ქ. ბათუმი 6000, საქართველო
სკოლის დასახელება:	**კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა (CMS)**							

1	ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203	240	აკრედიტებული	20.06.2018 №72	20.06.2025	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
2	ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი 0203	120	აკრედიტებული	28.06.2019 №144	28.06.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
3	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი 0904	120	აკრედიტებული	21.02.2019 №48	10.02.2026	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
4	დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი 090101	360	აკრედიტებული	30.03.2018 №46	30.03.2022	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
სკოლის დასახელება:	**კავკასიის ეკონომიკის სკოლა (CSE)**							
1	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი 0701	240	ავტორიზებული (მიმდინარეობს ხელახალი აკრედიტაციის პროცესი)	24.06.2014 №18 (წინა აკრედიტაციის თარიღი - 04.12.2014 №236)	20.12.2020	პაატა სააკაძის ქ.1, ქ.თბილისი 0102, საქართველო; თაყაიშვილის ქ. 36-38, ქ. ბათუმი 6000, საქართველო
2	ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი 0701	120	აკრედიტებული	26.07.2016 №73	26.07.2023	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
3	ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი 0319	120	---------	29.09.2014 №187	--------	მერაბ ალექსიძის ქ. 10, ქ. თბილისი 0160, საქართველო
სკოლის დასახელება:	**კავკასიის სადოქტორო სკოლა (CDS)**							

1	მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	ინგლისური	მენეჯმენტის დოქტორი 0203	180	აკრედიტებული	05.12.2018 №186	05.12.2022	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
2	ეკონომიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა	ინგლისური	ეკონომიკის დოქტორი 0701	180	აკრედიტებული	05.12.2018 №187	05.12.2022	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა დატოვა სხდომა 18:04 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნოდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულო პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა შეცვალოს სტუდენტთა და პროფესორთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი იმგვარად, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობრივი თანაფარდობა იყოს ერთმნიშვნელოვნად ადეკვატური.
- უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობას თითოეულ ადმინისტრაციულ რგოლში და შეაფასოს, როგორი იქნება მათი საქმიანობის ეფექტიანობა სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის შემთხვევაში
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველჰყოს სტუდენტთა მონაწილეობა მართვაში მათი წარმომადგენლობის გაზრდით აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში.
- მართვის მდგრადობისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა თავის დებულებაში უნდა განსაზღვროს რექტორის არჩევის (ამგვარი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში) წესი
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ეთიკის კოდექსისა და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების ამოქმედება სწავლა-სწავლებისა და კვლევის ყველა საფეხურზე
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების წამახალისებელი მექანიზმების განვითარება-გაფართოების გეგმა და გამოყოს მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები იმგვარად, რომ ისინი საკმარისი იყოს სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტისთვის
- მოახდინეთ მედიცინის დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების დროული დანერგვა და მისი განხორციელების და შედეგების მონიტორინგი, რათა შეაფასოთ თუ როგორ მოხდება მისი წარმართვა გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში
- მოამზადეთ როგორც სტუდენტთაა არსებული, ისე გაზრდილი კონტიგენტისთვის საჭირო რაოდენობა PBL ტუტორები და OSCE-ს განმახორციელებლები
- საერთაშორისო კავშირების გაძლიერება, გაცვლითი პროგრამების ამოქმედება.

- დამსაქმებელთა როლის და ჩართულობის გაძლიერება, რათა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდოს.
- სტუდენტური თვითმმართველობა ოფიციალურად იყოს და თან უფრო მეტად წარმომადგენლობითი აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში.
- სტუდენტების კონტიგენტის გაზრდის პერიოდისთვის იქონიეთ რეკონსტრუქტურირებული /გარემონტებული და სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ფართი
- დაგეგმეთ სამომავლო ბიუჯეტი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, გაითვალისწინეთ სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის მონაცემები
- გააძლიერეთ ფინანსური სამსახურის მონაწილეობა კვლევითი პროექტების განხილვის და დამტკიცების პროცედურებში

ექსპერტი ლევან ცაგარელი სხდომას ჩაერთო სკაიპით და წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები, რომელიც შეეხებოდა დაწესებულების სტრუქტურასა და საბჭოს წევრებს გაუზიარა ვიზიტის შედეგად მიღებულ ზოგად შთაბეჭდილება. ექსპერტის განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტური სერვის ცენტრი, რომელიც აკვალიანებდა სტუდენტებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, არსებობდა პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ასევე, ექსპერტმა დადებითად შეაფასა დაწესებულებაში არსებული უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის მექანიზმები.

ექსპერტის ლევან ცაგარელის განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა რამდენიმე სამსახური, რომელთა როლი და ფუნქციები არ იყო გაწერილი უნივერსიტეტის დებულებაში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ სამსახურების როლი კარგად გააზრებული დაწესებულებაში არ იყო. ხოლო, თავად ამ სამსახურებს გააჩნდათ საკუთარი დებულებები. ასევე, სტუდენტები არ იყვნენ ჩართულნი აქტიურად მართვაში და კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, მათი ჩართულობის გაზრდა იქნებოდა პრობლემური.

ექსპერტის განმარტებით, ყველა ევროპული რეგულაცია ავალდებულებდა უნივერსიტეტებს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფას დაწესებულების მართვის პროცესებში. დაწესებულებაში კი მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ესწრებოდა აკადემიურ საბჭოს სხდომებს. აქამდე, მსგავსი მიდგომა მუშაობდა, სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო, თუმცა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ეს საკითხი შეიძლებოდა გამხდარიყო პრობლემური.

ასევე, ექსპერტებისთვის ბუნდოვანი იყო რექტორის არჩევის წესი. დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ არსებობდა ადმინისტრაციული პერსონალის არჩევის წესი. თუმცა, არსად იყო აღნიშნული რექტორთან დაკავშირებით ჩანაწერი. თუ იგივე წესი ეხებოდა რექტორსაც, მაშინ გასაგები იქნებოდა ექსპერტებისთვის. ნებისმიერ ფორსმაჟორულ სიტუაციაში რომ გამხდარიყო რექტორის არჩევა საჭირო, უნივერსიტეტი მზად უნდა ყოფილიყო და უნდა ჰქონოდა შესაბამისი წესი. ასევე, ექსპერტთა განმარტებით, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დაწესებულებაში არ დასტურდებოდა ეთიკის კოდექსისა და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების ცოდნა. რაც ნიშნავდა, რომ უნივერსიტეტს ამ მიმართულებით უფრო მეტი უნდა ემუშავა.

სამეცნიერო კვლევითი აქტივობების მიმართულებით, დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული აქტივობები განხორციელებული, თუმცა მაინც სუსტ რგოლად რჩებოდა დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის საკითხები და კვლევის წახალისება. ამ მიმართულებით, დაწესებულებაში არსებობდა ვიცე-რექტორი და შესაბამისი სამსახური, თუმცა ეს აღნიშნული ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობდა.

საბჭოს წევრის დალი კანდელაკი დაინტერესდა ზოგად დებულებაში თუ არსებობდა შესაბამისი მუხლები აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებით. ექსპერტის ლევან ცაგარელის განმარტებით, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურებს, ცენტრებს, კლინიკებს ჰქონდათ საკუთარი წესდება. თუმცა, სასურველი იქნებოდა, რომ ყოფილიყო უნივერსიტეტის დებულებაშიც ერთიანად გაწერილი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მითითება ექსპერტების მიერ რეკომენდაციის სახით არ იყო წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ რჩევის სახით.

საბჭოს მდივნის ნინო ხოლუაშვილის განმარტებით, ძალიან რთული იქნებოდა ყველა სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების უნივერსიტეტის დებულებაში გაწერა. აღნიშნული ექსპერტების, მიერ ნაკლოვანებად არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. შესაძლებელი იყო ეს სამსახურები დაწესებულებას დებულების დამტკიცების შემდგომ შეემნა. ექსპერტმა ლევან ცაგარელმა აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული მითითება ფორმულირებული იყო რჩევის და არა რეკომენდაციის სახით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხათუნა საგანელიძის განმარტებით, აღნიშნული შენიშვნა წარმოდგენილი იყო მხოლოდ რჩევის სახით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხათუნა საგანელიძის განმარტებით, ეს უნივერსიტეტი იყო ის დაწესებულება, რომელმაც ძალიან სწრაფი განვითარების მაგალითი აჩვენა, შთამბეჭდავი იყო ის, რაც ნახეს ექსპერტებმა ვიზიტის დროს. გაცილებით სხვა მოლოდინი იყო დოკუმენტაციის გაცნობისას და ვიზიტის დროს, ეს განწყობა პოზიტიურად შეიცვალა. საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა და მიმართა ექსპერტებს, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების ფონზე, შეძლებდა თუ არა დაწესებულება მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობის მომსახურებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ შეძლებდა გაზრდილ კონტიგენტთან გამკლავებას.

საბჭოს წევრის გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, დაწესებულებაში საუკეთესო პრაქტიკად იყო მიჩნეული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის შენარჩუნება. ამავე დროს, ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე ირკვეოდა, რომ რექტორის არჩევის მექანიზმი დაწესებულებაში არ არსებობდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხათუნა საგანელიძის განმარტებით, დაწესებულება იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და დამფუძნებელს ჰქონდა უფლება ერთპიროვნულად წარედინა რექტორი. შესაბამისად, ამ მიმართულებით ის პრობლემას ვერ ხედავდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ წინა მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა 60 დღიანი ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად და საბჭომ დაინახა ის პოზიტიური ცვლილებები, რაც დაწესებულებაში განხორციელდა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, უნივერსიტეტის დებულების მე-20 მუხლში გაწერილი იყო ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები. ეს ყველაფერი განმარტებული იყო და უმაღლეს ადმინისტრაციულ თანამდებობად მიჩნეული იყო რექტორი. შესაბამისად, ადმინისტრაციული პერსონალის არჩევის წესი ეხებოდა რექტორსაც. ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება დამტკიცებული იყო და მათი ფუნქციები გაწერილი იყო დეტალურად.

ექსპერტთა მიერ გაცემული შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ეთიკის კოდექსის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, მისთვის ეს რეკომენდაცია გაუგებარი იყო, რადგან სტუდენტებისა და პერსონალის ხელშეკრულებებში გაწერილი იყო ეთიკის კოდექსის დაცვის ვალდებულება. ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის, ასევე განთავსებული იყო დაწესებულების ვებგვერდზეც. რაც შეეხებოდა პლაგიატს, ეს საბჭოს წინა სხდომაზეც აღინიშნა, რომ დაწესებულება ჩართული იყო ბიბლიოთეკების საერთაშორისო ქსელის კონსორციუმში და ჰქონდათ შესაბამისი ხელშეკრულებაც გაფორმებული. სწორედ ეს იყო პლაგიატის აღმოჩენისა და განსაზღვრის მექანიზმი დაწესებულებაში. ყველა ნაშრომის შემოწმება ხდებოდა პლაგიატის პროგრამით და 10% იყო დასაშვები. გარდა ამისა, აკადემიური წერის სილაბუსში, აკადემიური პოლიტიკის დებულებაში გაწერილი იყო, რომ პლაგიატის პრევენცია მნიშვნელოვანი იყო.

რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში დავით აფხაზავამ ისაუბრა სტუდენტთა ჩართულობაზე სამეცნიერო საქმიანობაში. ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა ახალგაზრდა კადრების მოძიებისა და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის მეთოდოლოგია. არსებობდა ლაბორატორია, სადაც აქტიურად მუშაობდნენ სტუდენტები. ასევე, ტარდებოდა სტუდენტური კონფერენციები და რეგულარული საგრანტო კონკურსები, რომლის ფარგლებშიც ფინანსდებოდა საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებაც.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა კონკრეტულად როგორ ახდენდა დაწესებულება სტუდენტის ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში. დავით აფხაზავას განმარტებით, პირველ რიგში, ეს იყო სტუდენტთა ინფორმირება არსებული კვლევითი შესაძლებლობების შესახებ ლექტორების ჩართულობით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხათუნა საგანელიძის განმარტებით, ეთიკის კოდექსის გაზიარება არ ხდებოდა სისტემურად, არამედ ჰქონდა სპონტანური სახე.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, მათ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს ანახეს შემოწმებული ნაშრომები, რომლებიც ინახებოდა ბიბლიოთეკაში. სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით კი, წელიწადში 2-ჯერ ტარდებოდა სტუდენტური კონფერენციები და გამარჯვებული სტუდენტებს, რომლებიც ატარებდნენ მცირე კვლევებს, ენიშნებოდათ სტიპენდია. რაც შეეხებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მედიცინა იყო რეგულირებადი და სააკრედიტაციოდ, გეგმიურად ამზადებდნენ პროგრამებს. მედიცინის პროგრამებთან მიმართებით, განხორციელებული იქნა 6 დონიანი ინტეგრაცია. საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, პროგრამის კურიკულუმი რატომ არ იყო განთავსებული დაწესებულების ვებ გვერდზე. დაწესებულების

წარმომადგენლის გამარტებით, მოკლე კატალოგი პროგრამების შესახებ საჯარო იყო დაინტერესებული პირებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის მარიამ ველიჯანაშვილის განმარტებით, OSCE -სა და PBLის თანამედროვე სწავლების მეთოდები იყო სასწავლო სილაბუსების ნაწილი. ყველა პედაგოგს გავლილი ჰქონდა შესაბამისი ტრენინგები. OSCE ინტეგრირებული იყო როგორც სასწავლო კურსის შეფასების მექანიზმი, როგორც შუალედურ, ასევე ფინალურ გამოცდებში. მათ მოწვეული ჰყავდათ დარგის ექსპერტი ია ავალიანი, რომელმაც საჩვენებლად ჩაატარა OSCE. დაწესებულების 8 აკადემიური პერსონალი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე იყო გადამზადებული და ეტაპობრივად მოხდებოდა დარჩენილი პერსონალის გადამზადებაც. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნანა გვენეტაძის განმარტებით, მათ გააჩნდათ თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებასთან. კერძოდ, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ გერმანიის, სერბეთის, ბულგარეთის, იტალიის, ინდოეთის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან. შესაბამისად, განახორციელეს ბევრი წარმატებული პროექტი და ასევე, იყო დაგეგმილი პროექტების სამომავლოდ განხორციელებაც. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 2019 წელს ორი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა გეომედში. ასევე, ჰქონდათ გაცვლითი პროგრამები ბერლინის უნივერსიტეტთან და მუშაობდნენ ერასმუსის პროგრამებში ჩართვის მიმართულებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ყველა დამსაქმებელი ჩართული იყო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, რაც დასტურდებოდა შესაბამისი აკადემიური საბჭოს ოქმებით. სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით კი იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. რექტორის მოადგილის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში თამაზ ხვიჩიას განმარტებით, უნივერსიტეტი უკვე 25 წელი ფუნქციონირებდა და თავად 23 წელია, რაც ამ დაწესებულებაში მუშაობდა. უნივერსიტეტმა ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა განვითარებისკენ. მისი განმარტებით, უნივერსიტეტს გააჩნდა 4 კორპუსი, 3 კორსპუსი გარემონტებული იყო, ხოლო მეოთხე კორპუსში მიმდინარეობდა საერთო საცხოვრებლის მოწყობა. კორპუსები იყო კეთილმოწყობილი და მორგებული სტუდენტთა საჭიროებებზე.

უნივერსიტეტის შიდა აუდიტის კლიმენტი ადამიას განმარტებით, უკვე სრულდებოდა მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობა და დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებდა სტუდენტურ აქტივობებზე, საერთაშორისო ღონისძიებებში მათ ჩართვასა და წამახალისებელ სტიპენდიებზე. მისი განცხადებით, უნივერსიტეტს გააჩნდა ფინანსური რეზერვები და ყოველ კალენდარულ წელს მოგებით ასრულებდა.
საბჭოს წევრის ლევან იმნაიშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ხორციელდებოდა ჯანდაცვის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის პროგრამები. აღნიშნული სფეროები წარმოუდგენელი იყო ინფორმაციული სისტემების გარეშე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ ისწავლებოდა დაწესებულებაში ის ინფორმაციული სისტემები, რაც არსებობდა მაგალითად კლინიკებში. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროგრამამ ახლახან მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია და სილაბუსის მიხედვით, დაწესებულებაში ისწავლეობოდა საინფორმაციო სისტემები. ასევე, დეტალურად ისწავლებოდა ჯანდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სისტემაც.

საბჭოს წევრის გიორგი აბრამიშვილის განმარტებით, დაწესებულებაში შეფასების სისტემა კარგად იყო ჩაშლილი. თუმცა არ ჩანდა ერთი კომპონენტი. მაგალითად, როდესაც სტუდენტი 51 ქულას უკვე გადასცდა, ჰქონდა თუ არა საბოლოო გამოცდაზე გასვლის ვალდებულება. ასევე, მისი განმარტებით, ექსპერტთა დასკვნაში არსებობდა ჩანაწერი, რომ დაწესებულება იყო გარდამავალ ეტაპზე და ეს პროცესი როცა დასრულდებოდა, შემდეგ იყო მიზანშეწონილი გაზრდილი კონტინგენტის მოთხოვნა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხათუნა საგანელიძის განმარტებით, დაწესებულება ვითარდებოდა და ჯერ კიდევ მიმდინარე ცვლილებები იყო განხორციელების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო გაზრდილ კონტინგეტს უკვე დახვედროდა ყველა პროცესი დასრულებული და არა გარდამავალ პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, როდიდან გეგმავდა დაწესებულება სტუდენტების მიღებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება გეგმავდა 100 უცხოელი სტუდენტის მიღებას, ხოლო ქართველ სტუდენტებს მიიღებდა ეროვნული გამოცდების შემდეგ. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მისთვის გაუგებარი იყო დასკვნაში ექსპერტთა ჩანაწერი ძველ ფლიგელთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხათუნა საგანელიძის განმარებით, დათვალიერების დროს, ექსპერტებმა ნახეს, რომ ელექტროენერგია არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი და შესაბამისად, მათი რჩევა იყო საღამოს საათებში ნუ ჩაატარებდნენ ლექციებს. ასევე, ხათუნა საგანალიძის განმარტებით, დაწესებულებას ექნებოდა სხვა გამოწვევებიც, მაგალითად, PBL-ის ოთახი იყო მხოლოდ ერთი, რომელიც სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში არ იქნებოდა საკმარისი და აუცილებელი იქნებოდა გაფართოება. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ მოასწრებდა დაწესებულება მომზადებას მომავალი სასწავლო წლისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, PBL-საკმაოდ მარტივი გასამართი იყო, მას სჭირდებოდა მრგვალი მაგიდა და ოთახი 8 სტუდენტისთვის. ეს ძალიან მარტივი შესასრულებელი იქნებოდა დაწესებულებისთვის და მათ გააჩნდათ საკმარისი ფართი 2100 სტუდენტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 100-ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204909858) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 100-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომა დასრულდა 19:02 საათზე.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი